ნონა ბუჟღულაშვილი

კავკასიის ეკონომიკის სკოლა (CSE)

კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის კურსდამთავრებული, ნონა ბუჟღულაშვილი სწავლას უნგრეთში აგრძელებს.

ნონა კორვინუსის უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა სრული დაფინანსებითა და ყოველთვიურო სტიპენდიით.

“კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე ვიცოდი, რომ მექნებოდა ევროპულ განათლებასთან დაკავშირების შესაძლებლობა. მართლაც, მესამე კურსზე ერასმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი სემესტრი გავატარე ვარშავის ეკონომიკის სკოლაში, სადაც დიდი ცოდნა და გამოცდილება მივიღე. ახლა კი ამ გზას მივუყვები და ბუდაპეშტში ვაგრძელებ სწავლას. კავკასიის უნივერსიტეტმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი მიზნების ჩამოყალიბებასა და ამ მიზნების რეალიზაციაში, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ. იმედი მაქვს, მომავალში შევძლებ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას.”